



კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: საყოველთაო

9 ნოემბერი, 2018 წელი

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

ზოგადი კომენტარი №7 (2018), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების მონაწილეობა კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგში, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით*

I. შესავალი

1. შშმ პირები სრულად იყვნენ ჩართულნი მოლაპარაკებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესახებ და გადაწყვეტი როლი შეასრულეს მის შემუშავებაში. ასეთ მჭიდრო კონსულტაციას და აქტიურ ჩართულობას წარმომადგენელი ორგანიზაციებისა და პარტნიორების მეშვეობით, დადებითი გავლენა ჰქონდა კონვენციის ხარისხზე, ასევე, მის შესაბამისობაზე შშმ პირთა საჭიროებებთან. გამოჩნდა მათი ძალა, გავლენა და პოტენციალიც, რასაც შედეგად მოჰყვა ინოვაციური კონვენციის შემუშავება და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის ჩამოყალიბება. ამდენად, კონვენცია ეფუძნება შშმ პირთა ეფექტიან და მნიშვნელოვან მონაწილეობას, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით.
2. ყველა ადამიანის აქტიური და ინფორმირებული მონაწილეობა მათთან დაკავშირებული საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას¹ და უზრუნველყოფს კარგ მმართველობასა და სოციალურ ანგარიშვალდებულებას.²
3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პრინციპი კარგად არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლში და დადასტურებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლში. მონაწილეობა, როგორც პრინციპი და ადამიანის უფლება, აღიარებულია ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებითაც, როგორცაა: საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 5(c)), კონვენცია

* მიღებულია კომიტეტის მიერ, მე-20 სესიის ფარგლებში (27 აგვისტო - 21 სექტემბერი, 2018 წელი).

¹ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, „სიღარიბის შემცირების სტრატეგიების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპები და გაიდლაინები“, პუნქტი 64.

² A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტი 13.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 7) და ბავშვის უფლებების კონვენცია (მუხლები 12 და 23(1)). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია აღიარებს მონაწილეობას, როგორც ზოგად ვალდებულებასა და გადამკვეთ საკითხს. მართლაც, ის მოიცავს სახელმწიფო მხარეთა ვალდებულებას შშმ პირებთან მჭიდრო კონსულტაციისა და მათი აქტიური ჩართულობის შესახებ (მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი), მათ შორის, მონიტორინგის პროცესშიც (33-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამ საკითხებს კონვენცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ფართო კონცეფციის ნაწილად მიიჩნევს.³

4. ხშირ შემთხვევაში, შშმ პირებთან დაკავშირებული, მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე და მათი სახელით გადაწყვეტილებები მიიღება ისე, რომ ეს პირები არ არიან ჩართულნი პროცესში. მათთან კონსულტაციის მნიშვნელობა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აღიარეს. ეს შედეგად მოჰყვა შშმ პირთა მოძრაობების შექმნას, რომლებმაც მოითხოვეს ადამიანის უფლებების ცნობა, ასევე, მათ განსაზღვრაში საკუთარი როლის აღიარება. სლოგანი - „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ - რომელიც ეფუძნება მნიშვნელოვანი მონაწილეობის (meaningful participation) პრინციპს, ეხმიანება შშმ პირთა უფლებებზე შექმნილი მოძრაობის ფილოსოფიას და ისტორიას.

5. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კუთხით, შშმ პირები ჯერ კიდევ დგანან დამოკიდებულებით, ფიზიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე. კონვენციის ძალაში შესვლამდე, შშმ პირების მოსაზრებები უფლებებელყოფილი იყო და მათ ნაცვლად უპირატესობა ენიჭებოდათ მესამე მხარეებს (მაგ.: შშმ პირებისთვის არსებულ ორგანიზაციებს).

6. კონვენციაზე მოლაპარაკებისა და მისი შემუშავების პროცესში შშმ პირთა ჩართულობა - უშუალოდ ან წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით - სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობის, ინდივიდუალური ავტონომიისა და გადაწყვეტილებათა მიღების თავისუფლების შესანიშნავი მაგალითი აღმოჩნდა. შედეგად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შშმ პირებს ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების „სუბიექტებად“.³

7. საკუთარი იურისპრუდენციის გათვალისწინებით და წინამდებარე კომენტარით, კომიტეტი მიზნად ისახავს, მონაწილე სახელმწიფოებისათვის განმარტოს კონვენციის 4(3) და 33(3) მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებები და მათი შესრულება. კომიტეტი აღნიშნავს პროგრესს, რომელსაც მხარე სახელმწიფოებმა გასული ათწლეულის განმავლობაში მიაღწიეს ამ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების იმპლემენტაციის კუთხით. აღსანიშნავია ფინანსური და სხვა სახის დახმარება შშმ პირთა ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, იმ შშმ პირებისთვისაც, რომლებიც მონაწილეობენ კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონიტორინგის პროცესში, ასევე, დამოუკიდებელი მექანიზმების შემუშავებაში. გარდა ამისა, რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ, 4(3) და 35(4) მუხლების შესაბამისად, შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაცია გაიარა მაშინაც, როდესაც კომიტეტისთვის საწყის და პერიოდულ ანგარიშებს ამზადებდა.

8. მიუხედავად ამისა, კომიტეტი კვლავ შენიშნავს მნიშვნელოვან ხარვეზებს 4(3) და 33 (3) მუხლების მიზნებსა და არსს და მათ განხორციელებას შორის. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმითაც, რომ პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა თუ იმპლემენტაციის პროცესი წარმართა შშმ პირებთან შინაარსიანი კონსულტაციისა და მათი ჩართულობის გარეშე.

³ იქვე., პუნქტები 16 და 17.

9. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ შშმ პირთა ჩართულობისა და მონაწილეობის აუცილებლობა წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით და მათი დადებითი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, განსაკუთრებით, მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და უფლებებზე ცოდნის გათვალისწინებით. კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის - ისევე, როგორც მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და მიზნების შესრულების - პროცესში ყველა მექანიზმის გამოყენებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ კონვენციის ზოგადი პრინციპებიც.

II. 4 (3) და 33 (3) მუხლების ნორმატიული შინაარსი

ა. „წარმომადგენელი ორგანიზაციის“ განმარტება

10. როგორც მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში, ისე 33-ე მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებულია შშმ პირთა ჩართულობა და მონაწილეობა „წარმომადგენელი ორგანიზაციების“, ანუ შშმ პირთა ორგანიზაციების მეშვეობით. სათანადო იმპლემენტაციისათვის მნიშვნელოვანია, მონაწილე სახელმწიფოებმა და შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა განმარტონ შშმ პირთა ორგანიზაციების ფარგლები და აღიარონ ის განსხვავებული ტიპები, რომლებიც ხშირად გვხვდება.
11. კომიტეტი მიიჩნევს, რომ შშმ პირთა ორგანიზაციები უნდა ეფუძნებოდეს, ითვალისწინებდეს და სრულად სცემდეს პატივს კონვენციით აღიარებულ პრინციპებსა და უფლებებს. ეს მოიცავს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც უძღვებიან, ხელმძღვანელობენ და მართავენ შშმ პირები. მათი წევრების აბსოლუტურ უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ თავად შშმ პირები.⁴ კონვენციის ფარგლებში, შშმ პირთა ორგანიზაციები მოიცავს შშმ ქალებისა და ბავშვების, ასევე, აივ/შიდსის მქონე პირების ორგანიზაციებს.

შშმ პირთა ორგანიზაციებს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი აქვს:

- (a) მათ აარსებენ იმ მიზნით, რომ კოლექტიურად იმოქმედონ, ასევე, გამოხატონ, ხელი შეუწყონ, გაატარონ და/ან დაიცვან შშმ პირთა უფლებები. შესაბამისად, საჭიროა მათი საზოგადო აღიარება სწორედ ამ კუთხით;
- (b) ისინი ასაქმებენ, წარმოადგენენ, მოვალეობას აკისრებენ ან კონკრეტულად წარადგენენ/ნიშნავენ შშმ პირებს;
- (c) უმრავლეს შემთხვევაში, არ არიან აფილირებულნი არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან და მოქმედებენ სახელმწიფო უწყებებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად, რომელთა ნაწილსაც შეიძლება წარმოადგენდნენ;
- (d) ეს ორგანიზაციები შეიძლება წარმოადგენდნენ ერთ ან მეტ ჯგუფს, (constituency) ფაქტობრივი ან აღქმული დარღვევების მიხედვით, ან გახსნილი იყვნენ ყველა შშმ პირის წევრობისათვის;
- (e) ისინი წარმოადგენენ შშმ პირთა ჯგუფებს და ასახავენ მათ მრავალფეროვნებას (მაგ.: სქესის, გენდერის, რასის, ასაკის, მიგრანტის/ლტოლვილის სტატუსის და ა.შ. მიხედვით). აღნიშნული ორგანიზაციები შეიძლება მოიცავდეს ურთიერთგადაამკვეთ იდენტობებზე დაფუძნებულ ჯგუფებს (მაგ.: შშმ ბავშვები, ქალები ან მკვიდრი მოსახლეობა) და სხვადასხვა დარღვევის მქონე წევრებს;

⁴ შშმ პირთა უფლებების კომიტეტი/C/11/2, დანართი II, პუნქტი 3.

(f) მათი მოქმედების ფარგლები შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეს;

(g) ისინი შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც ცალკეული ორგანიზაციები, კოალიციები, ან ურთიერთგადამკვეთი თუ ქოლგისებური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ შშმ პირთა ერთობლივ და კოორდინირებულ წარმომადგენლობას, როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ისე საერთაშორისო და კერძო ინსტიტუტებთან ურთიერთობისას.

12. კომიტეტის მიერ გამოვლენილია შშმ პირთა ორგანიზაციების ტიპები, მათ შორის:

(a) შშმ პირთა ქოლგისებური ორგანიზაციები - მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების ერთგვარი კოალიციები. იდეალურ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ ერთი ან ორი ქოლგისებური ორგანიზაცია. ღიაობისა და დემოკრატიულობის, ასევე, შშმ პირთა სრულად და ფართო სპექტრით წარმოდგენისათვის, მათ წევრებს შორის უნდა მიიღონ შშმ პირთა ყველა ორგანიზაცია, რომლებსაც მართავენ, ხელმძღვანელობენ და აკონტროლებენ შშმ პირები. ისინი საუბრობენ მხოლოდ საკუთარი წევრი ორგანიზაციების სახელით, და მხოლოდ საერთო ინტერესისა და ერთობლივად გადაწყვეტილ საკითხებზე. თუმცა, არ შეუძლიათ კონკრეტული შშმ პირების წარმომადგენლობა, რადგან, როგორც წესი, არ აქვთ სრული ინფორმაცია მათ პირად გამოცდილებაზე. მსგავსი როლის შესრულება უკეთ შეუძლიათ შშმ პირთა ცალკეულ ორგანიზაციებს, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, შშმ პირებს თავად უნდა შეეძლოთ გადაწყვეტა, თუ რომელი ორგანიზაცია უნდა უწევდეთ წარმომადგენლობას. კონვენციის წევრ სახელმწიფოებში ქოლგისებური ორგანიზაციების არსებობამ არ უნდა დააბრკოლოს შშმ პირები ან მათი ორგანიზაციები, რომ მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციებში, ან შშმ პირთა ინტერესების ხელშემწყობ სხვა პროცესებში;

(b) შშმ პირთა ურთიერთგადამკვეთი (Cross-disability) ორგანიზაციები, რომლებიც დარღვევათა ფართო სპექტრიდან მოიცავს ყველას ან რამდენიმეს წარმომადგენელს. ეს ორგანიზაციები ყველაზე ხშირად ადგილობრივ და/ან ეროვნულ დონეზე გვხვდება, თუმცა, შეიძლება არსებობდეს რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზეც;

(c) თვითადვოკატირების ორგანიზაციები, რომლებიც შშმ პირებს წარმოადგენენ სხვადასხვა, ხშირად არაფორმალურად (loosely) და/ან ადგილობრივად ჩამოყალიბებულ ქსელებში და პლატფორმებზე. ისინი ადვოკატირებას უწევენ შშმ პირების, განსაკუთრებით, ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიანების უფლებებს. მათ ჩამოყალიბებას შესაბამისი, ზოგჯერ ფართო მხარდაჭერით, რაც წევრებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას აძლევს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღების, მონიტორინგისა და იმპლემენტაციის პროცესებში ჩართულობისა და პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებულად ეხებათ იმ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობა, ინსტიტუციონალიზებულნი არიან და/ან წართმეული აქვთ ხმის უფლება. თვითადვოკატირების ორგანიზაციების დისკრიმინაცია ბევრ ქვეყანაში ხდება: მათ სამართლებრივი სტატუსი არ ეძლევათ იმ კანონებისა და რეგულაციების გამო, რომლებიც არ აღირებს ამ ორგანიზაციების წევრთა სამართლებრივ ქმედუნარიანობას.

(d) ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ შშმ პირთა ოჯახის წევრებს და/ან ნათესავებს. როდესაც შშმ პირთა ჯგუფებს საკუთარი ოჯახებისაგან ერთიანი ქსელის ან ორგანიზაციის სახით მხარდაჭერა სჭირდებათ, მსგავსი ორგანიზაციები დიდ როლს ასრულებენ ინტელექტუალური შეზღუდვებისა და

დემენციის მქონე ნათესავების და/ან შშმ ბავშვების ინტერესების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაში, ასევე, მათი ავტონომიურობისა და აქტიური მონაწილეობის კუთხით. მსგავს შემთხვევებში, აღნიშნული ორგანიზაციები ჩართულნი უნდა იყვნენ კონსულტაციების, გადაწყვეტილების მიღებისა და მონიტორინგის პროცესებში. მშობლების, ნათესავებისა და მომვლელების როლი ასეთ ორგანიზაციებში უნდა იყოს შშმ პირთა დახმარება და გაძლიერება, რათა მათ შეძლონ აზრის გამოხატვა და საკუთარი ცხოვრების სრულად გაკონტროლება. მსგავსი ორგანიზაციები აქტიურად უნდა მუშაობდნენ მხარდაჭერაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უზრუნველყოფს შშმ პირთა მონაწილეობას კონსულტაციებში და აზრის გამოხატვის უფლების რეალიზებას.

(e) შშმ ქალებისა და გოგონების ორგანიზაციები, რომლებიც შშმ ქალებსა და გოგონებს არაერთგვაროვან ჯგუფად წარმოადგენენ. მათი მრავალფეროვანი სპექტრი უნდა მოიცავდეს ყველა ტიპის დარღვევას.⁵ ძალზე მნიშვნელოვანია ამ ჯგუფების მონაწილეობა კონსულტაციებში, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხება მათ, ან, ზოგადად, შშმ ქალებისა და გოგონების საკითხებს (მაგ.: გენდერული თანასწორობის პოლიტიკა).

(f) შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების ორგანიზაციები, ან ინიციატივები, რომლებიც ფუნდამენტურ როლს ასრულებენ საზოგადოებრივ და სათემო ცხოვრებაში ბავშვთა მონაწილეობის, ასევე, მათი გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლების თვალსაზრისით. ზრდასრულებმა მთავარი და მხარდაჭერი როლი უნდა შეასრულონ ისეთი გარემოს შექმნაში, რომელიც შშმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ზრდასრულებსა და სხვა ბავშვებთან/ახალგაზრდებთან თანამშრომლობის გზით, საშუალებას მისცემს, ჩამოაყალიბონ საკუთარი ორგანიზაციები და ინიციატივები და ფორმალურად ან არაფორმალურად იმოქმედონ მათ ფარგლებში.

ბ. განსხვავება შშმ პირთა ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს შორის

13. შშმ პირთა ორგანიზაციები უნდა განვასხვაოთ ორგანიზაციებისაგან შშმ „პირთათვის“, რომლებიც შშმ პირებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ და/ან მათი სახელით ადვოკატირებენ. პრაქტიკაში დანერგვისას, ამ უკანასკნელმა, შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტიც გამოიწვიოს, როდესაც მსგავსი ორგანიზაციები შშმ პირთა უფლებებზე წინ საკუთარ კერძო ინტერესებს აყენებენ. მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ შშმ პირთა მოსაზრებებს, რომლებსაც ისინი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით გამოხატავენ; ასევე, მხარი დაუჭირონ მსგავსი ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერებას და უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრიორიტეტული სწორედ მათი მოსაზრებები იყოს.⁷

14. ასევე ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ შშმ პირთა ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია“ მოიცავს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებას, მათ შორის: კვლევით ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და სხვა კერძო დაინტერესებულ პირებს. შშმ პირთა ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ერთ კონკრეტულ ნაირსახეობას წარმოადგენენ და შეიძლება ერთიანდებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ქოლგისებურ ორგანიზაციას ან კოალიციაში, რომლის მიზანიც აუცილებლად შშმ პირთა

⁵ ზოგადი კომენტარი №3 (2016) შშმ ქალებისა და გოგონების შესახებ, პუნქტი 5. ⁷ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, 38-ე პუნქტი; და A/71/314, პუნქტი 64.

ადვოკატირება არ არის, თუმცა, ადამიანის უფლებათა დღის წესრიგში მათი უფლებების დაცვას მხარს მაინც უჭერს. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონვენციის მონიტორინგში მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოების ყველა ორგანიზაცია, შშმ პირთა ორგანიზაციების ჩათვლით. მათთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, მონაწილე სახელმწიფოებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ შშმ პირთა ორგანიზაციების მოსაზრებებს; ამასთან, შექმნან მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შშმ პირთა ორგანიზაციებთან გაიარონ კონსულტაციები კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და საკითხებზე მუშაობისას (მაგ.: დისკრიმინაციის აკრძალვა, მშვიდობა და გარემოსდაცვითი უფლებები).

გ. 4 (3) მუხლის ფარგლები

15. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა მჭიდრო კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირებთან და ისინი, თავიანთი ორგანიზაციების მეშვეობით, ჩართონ ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე არსებულ სამართლებრივ თუ მარეგულირებელ მექანიზმებსა და პროცედურებში. კონსულტაციები და ჩართულობა სახელმწიფოებმა აუცილებელ ნაბიჯად უნდა განიხილონ კანონების, რეგულაციებისა და პოლიტიკის დამტკიცებისას, მათი ზოგადი ბუნების ან შეზღუდულ შესაძლებლობებთან კავშირის მიუხედავად. შესაბამისად, კონსულტაციები უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესის ადრეულ ეტაპზე და წვლილი შეიტანოს საბოლოო პროდუქტში. ისინი უნდა მოიცავდეს შშმ პირთა ფართო სპექტრის წარმომადგენელ ორგანიზაციებს, როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.

16. ყველა შშმ პირს, განურჩევლად შეზღუდვის ტიპისა (მაგ.: ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური საჭიროებების მქონე ადამიანები), შეუძლია სრულყოფილად, ეფექტიანად, დისკრიმინაციის გარეშე და სხვების თანასწორად ჩაერთოს პროცესებში. ⁶ წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით კონსულტაციებში მონაწილეობის უფლება თანაბრად უნდა იყოს აღიარებული ყველა შშმ პირისთვის (მაგ.: სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად). მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმი, რომელიც ყველა შშმ პირისათვის უზრუნველყოფს უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს; ასევე, გააუქმონ კანონმდებლობა, რომელიც ახდენს შშმ პირთა ან ორგანიზაციათა კრიმინალიზაციას წევრების სქესის, გენდერის ან სოციალური სტატუსის საფუძველზე და ზღუდავს მათ უფლებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე.

17. შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ, მოიცავს წვდომას ისეთ ასპექტებზე, როგორცაა: გადაწყვეტილების მიღების საჯარო სივრცეები და კვლევის სხვა სფეროები, უნივერსალური დიზაინი, პარტნიორობა, დელეგირებული ძალაუფლება და სამოქალაქო კონტროლი. ⁷ გარდა ამისა,

⁶ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/19/36, პუნქტები 15 და 17.

⁷ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტი 63; და A/ადამიანის უფლებათა საბჭო/34/58, პუნქტი 63.

¹⁰ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტი 64.

აღნიშნული ვალდებულება მოიცავს შშმ პირთა გლობალურ ან/და რეგიონულ ორგანიზაციებსაც.

1. შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები

18. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ფრაზა „შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე“, მოიცავს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა მექანიზმებს, რომლებსაც შეიძლება პირდაპირი ან ირიბი გავლენა ჰქონდეს შშმ პირთა უფლებებზე. შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების ფართო განმარტება მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, რომ ინკლუზიური პოლიტიკის მეშვეობით წინ წამოწიონ შეზღუდული შესაძლებლობები და უზრუნველყონ, რომ შშმ პირები სხვების თანასწორად მიიჩნეოდნენ. განმარტება ასევე გულისხმობს, რომ ახალ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა მექანიზმებზე გადაწყვეტილების მიღებისას განხილული იყოს შშმ პირთა ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც. ეს ეხება გადაწყვეტილების მიღებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა ზოგადი კანონები და სახელმწიფო ბიუჯეტი, ან კონკრეტულად შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული კანონები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათ ცხოვრებაზე.¹⁰

19. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციები ემსახურება კონვენციისა და შშმ პირთა უფლებების შეუსაბამო რაიმე ქმედების ან პრაქტიკის პრევენციას მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან. განსახილველი მექანიზმების პირდაპირ ან ირიბ გავლენაზე უთანხმოების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოთა საჯარო უწყებებს ეკისრებათ ვალდებულება, დაამტკიცონ, რომ განსახილველ საკითხს შშმ პირებზე არაპროპორციული გავლენა არ ექნება და, შესაბამისად, კონსულტაციები საჭირო არ არის.

20. შშმ პირებზე პირდაპირი გავლენის მქონე საკითხების მაგალითებია: დეინსტიტუციონალიზაცია, სოციალური დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის პენსია, პერსონალური ასისტენტი, მისაწვდომობის მოთხოვნები და გონივრული მისადაგების პოლიტიკა; ირიბი გავლენის მქონე მექანიზმები კი შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგ საკითხებს: საკონსტიტუციო სამართალი; საარჩევნო უფლებები; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა; შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა დანიშვნა; და საჯარო პოლიტიკა განათლების, ჯანდაცვის, შრომისა და დასაქმების სფეროში.

2. „მჭიდრო კონსულტაცია და აქტიური ჩართულობა“

21. შშმ პირებთან „მჭიდრო კონსულტაცია და მათი აქტიური ჩართულობა“ წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებაა. იგი მოითხოვს ყველა ადამიანის სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარებას ინდივიდუალურ ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კონვენციის იმპლემენტაციასა თუ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას, კონსულტაცია და ჩართულობა უნდა მოიცავდეს ყველა შშმ ადამიანს და, თუ საჭიროა, ამ პროცესში მხარდაჭერასაც.

22. მონაწილე სახელმწიფოებმა სისტემატურად და ღიად უნდა მიმართონ შშმ პირთა ორგანიზაციებს, რომ კონსულტაცია გაიარონ მათთან, და არსებითად და დროულად ჩართონ პროცესში. ეს მოითხოვს წვდომას ყველა რელევანტურ ინფორმაციაზე, მათ შორის, საჯარო უწყებათა ვებგვერდებზე, შესაბამისი ციფრული ფორმატისა და, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტაციის მეშვეობით (მაგ.: ექსტების ენის თარჯიმნებით უზრუნველყოფა, ადაპტირებული ტექსტები და მარტივი ენა, ბრაილი და ტაქტილური ნიშნებით კომუნიკაცია). ღია კონსულტაციები შშმ პირებისათვის სხვათა თანასწორად ხელმისაწვდომს ხდის საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მათ შორის, რელევანტური

გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებს კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პროცესში, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს.

23. შშმ პირებთან პირდაპირ დაკავშირებული საკითხების განხილვისას, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ პირთა მოსაზრებები და შეხედულებები და პრიორიტეტი მიანიჭონ მათ. სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ხელმძღვანელობენ, ეკისრებათ ვალდებულება, რომ შშმ პირთა ორგანიზაციებს აცნობონ ამ პროცესების შედეგები, მათ შორის, გასაგები ფორმატით წარმოდგენილი და ნათლად განმარტებული მიგნებები, განხილვის პროცესი, გადაწყვეტილებების მოტივაცია, და ახსნა, თუ როგორ და რატომ გაითვალისწინეს მათი მოსაზრებები.

3. შშმ ბავშვების ჩართვა

24. 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე აღიარებს, თუ რა მნიშვნელოვანია „შშმ ბავშვების სისტემატური ჩართულობა“ მათი ანდა მხარდამჭერი ორგანიზაციების მეშვეობით. ეს განსაკუთრებით მიემართება ისეთ პროცესებს, როგორცაა კონვენციის ძალაში შესვლისათვის საჭირო რეგულაციებისა და პოლიტიკის შემუშავება, იმპლემენტაცია და გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ შშმ ბავშვების ინდივიდუალური ავტონომიისა და აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობასა თუ დაცვაში. ისეთი ვალდებულების შესრულებისას, როგორცაა შეკრების თავისუფლების, მათ შორის, მხარდაჭერისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა, მონაწილე სახელმწიფოებმა ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნან შშმ ბავშვების წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის.

25. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა და რეგულაციები და შეიმუშაონ პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც ყველა გაიგებს და პატივს სცემს ბავშვების ნებასა და პრიორიტეტებს, ასევე, ყოველთვის გაითვალისწინებს მათ პირად შესაძლებლობებსა და პოტენციალს. ინდივიდუალური ავტონომიურობის უფლების აღიარებასა და ხელშეწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა შშმ პირის, მათ შორის, ბავშვების, როგორც უფლებების მქონე პირთა პატივისცემისათვის.⁸ შშმ ბავშვებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ საკუთარი მოთხოვნილებებისა და გამოცდილებების გამოხატვა, რაც აუცილებელია კონვენციის შესაბამისი კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავების პროცესში.

26. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ: ისეთი სემინარების/შეხვედრების ორგანიზება, რომლებზეც საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად მიიწვევენ შშმ ბავშვებსაც; ღია მოწვევების გამოქვეყნება შშმ ბავშვებისათვის და მათი ხელშეწყობა კონკრეტულ საკითხებზე ესეების წარდგენაში, ასევე საკუთარი გამოცდილებისა თუ ცხოვრებისეული მოლოდინების გაზიარებაში. ესეები უნდა შეჯამდეს, როგორც ბავშვების წვლილი, და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ გამოიყენებოდეს.

4. სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა

27. „სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა“ (მუხლი 3 (c)) ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს, შშმ პირების ჩათვლით, ჰქონდეს საზოგადოებისადმი კუთვნილებისა და მის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის განცდა. აქ იგულისხმება: გამხნეება, სათანადო მხარდაჭერა - მათ

⁸ კონვენციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი. იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე“, პუნქტი 134.

შორის, თანატოლების მხრიდან - დახმარება საზოგადოებაში მონაწილეობის კუთხით, სტიგმისაგან თავისუფლება და უსაფრთხოებისა თუ პატივისცემის შეგრძნება საზოგადოებაში თვითგამოხატვისას. სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობისათვის აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოების ხელშეწყობა და კონსულტაციების გავლა შეზღუდვის ფართო სპექტრის წარმომადგენელ შშმ პირებთან.

28. მონაწილეობა არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება და დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულება, რომელიც არანაირ ბიუჯეტურ შეზღუდვას არ ექვემდებარება და უნდა გამოიყენებოდეს კონვენციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პროცესებში. თითოეულ ამ ეტაპზე შშმ პირთა ორგანიზაციების გარანტირებული მონაწილეობა გულისხმობს, რომ შშმ პირებს ექნებათ იმ მექანიზმების გამოვლენისა და გამოკვეთის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის მათ უფლებებს; ეს კი, თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიღების უკეთეს შედეგებს უზრუნველყოფს. სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა უნდა აღიქმებოდეს პროცესად, და არა ერთჯერად მოვლენად.⁹

29. კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგში შშმ პირების მონაწილეობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მათ შეუძლიათ გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობა, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კერძოდ, მუხლები: 19, 21 და 22. შშმ პირებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მონაწილეობა კონვენციის განხორციელებასა და მონიტორინგზე გადაწყვეტილების მიღებაში უნდა აღიარონ მათ წვლილად ადამიანების უფლებათა დაცვაში;¹⁰ შესაბამისად, ისინი დაცულნი უნდა იყვნენ დაშინებისაგან, შევიწროებისა და საპასუხო ზომებისაგან, განსაკუთრებით, როდესაც საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოხატავენ.

30. მონაწილეობის უფლება მოიცავს იმ ვალდებულებებსაც, რომლებიც სამართლიანი სასამართლოსა და მოსაზრების გამოთქმის უფლებებს უკავშირდება. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც მჭიდრო კონსულტაციას გადიან და საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად რთავენ შშმ პირთა ორგანიზაციებს, ახორციელებენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ პირთა სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობის უფლებას, მათ შორის, ხმის მიცემისა და არჩევნებში კანდიდატურის დაყენების უფლებას (კონვენციის 29-ე მუხლი).

31. სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა მოიცავს შშმ პირთა ჩართვას გადაწყვეტილების მიმღებ სხვადასხვა ორგანოში, როგორც ადგილობრივ, ისე - ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ასევე, ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ინსტიტუტებში, სპეციალურ (ad hoc) კომიტეტებში, საბჭოებში და რეგიონულ ან მუნიციპალურ ორგანიზაციებში. მონაწილე სახელმწიფოებმა საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უნდა აღიარონ შშმ პირთა კანდიდატურის დაყენების ან არჩევის შესაძლებლობა ნებისმიერ წარმომადგენლობით ორგანოში (მაგ.: მუნიციპალურ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებში ან ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ინსტიტუტებში, სახელდობრ, ამ პირთა უფლებებთან დაკავშირებულ პოზიციებზე).

32. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობას საერთაშორისო დონეზე (მაგ.: მდგრადი განვითარების მაღალი

⁹ ზოგადი კომენტარი №12, პუნქტი 133.

¹⁰ იხ. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 53/144, დანართი. ¹⁴

A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტები 1-3.

დონის პოლიტიკურ ფორუმსა და ადამიანის უფლებათა რეგიონულ და უნივერსალურ მექანიზმებში). ამდენად, შშმ პირთა მონაწილეობა, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, უზრუნველყოფს პროცესის უფრო მეტ ეფექტიანობასა და სახელმწიფო რესურსების თანასწორ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, ამ ადამიანებისა და მათი თემისათვის უკეთეს შედეგებს მოიტანს.

33. სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა შეიძლება გახდეს სოციალური ცვლილების მთავარი მექანიზმიც, რომელიც ხელს უწყობს უწყებას და აძლიერებს ინდივიდებს. ყველა ფორმის გადაწყვეტილების მიღების ყველა ფორმატში შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართვა ხელს უწყობს ამ ადამიანთა ადვოკატირებისა და მოლაპარაკების შესაძლებლობების განვითარებას; ასევე, აძლიერებს მათ, რომ უფრო მტკიცედ გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, განახორციელონ სურვილები და გაამყარონ თავიანთი ერთიანი და მრავალფეროვანი მოსაზრებები. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევის შედეგად, შშმ პირთა სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობა წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, გულისხმობს ამ პირთა საზოგადოებაში ინკლუზიასა და მათ მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მხარე სახელმწიფოები, რომლებიც სრულყოფილ და ეფექტიან მონაწილეობას უზრუნველყოფენ და შშმ პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ, აუმჯობესებენ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას და პასუხობენ ამ ადამიანთა მოთხოვნებს.¹⁴

დ. მუხლი 33: განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე

34. კონვენციის 33-ე მუხლი ითვალისწინებს იმპლემენტაციის სახელმწიფო მექანიზმებისა და მონიტორინგის დამოუკიდებელი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ისევე, როგორც შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობას ამ პროცესში. ეს მუხლი უნდა იკითხებოდეს და აღიქმებოდეს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის დამატებად.

35. კონვენციის იმპლემენტაციისა და მასთან დაკავშირებული ქმედებების ხელშეწყობისათვის, 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ერთი ან მეტი საკონტაქტო უწყების დასახელების ვალდებულებას. კომიტეტის რეკომენდაციას, კონვენციასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო პროცესებში მონაწილე სახელმწიფოთა საკონტაქტო უწყებები და/ან მაკოორდინირებელი მექანიზმები მოიცავდეს შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ადგენდეს ჩართულობის ფორმალურ პროცედურებს და თანამშრომლობდეს ამ ორგანიზაციებთან.

36. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომიტეტი აღიარებს მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და ხელშეწყობის მნიშვნელობას მონიტორინგის ყველა ეტაპზე.¹¹ მსგავსი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კონვენციის მონიტორინგის პროცესში. ეს განსაკუთრებულად ეხება ეროვნულ დონეზე შესაბამისობას, ასევე, ეროვნული დონის აქტორების, მათ შორის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებულ მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობას.

¹¹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/GBR/CO/1, პუნქტები 7 და 37; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/BIH/CO/1, პუნქტი 58; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/ARE/CO/1, პუნქტი 61; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი/C/SRB/CO/1, პუნქტი 67.

37. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი ხაზს უსვამს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებულ მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმში უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა. ეს გულისხმობს შშმ პირთა მონაწილეობასაც, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით.

38. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმები შესაძლებლობას უნდა აძლევდეს და ხელს უწყობდეს ფორმალური მექანიზმების მეშვეობით მსგავს სტრუქტურებსა და პროცესებში შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობას. ეს უზრუნველყოფს მათი მოსაზრებების დაფიქსირებასა და აღიარებას ანგარიშებსა და ანალიზში. შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართვა მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის მუშაობაში შესაძლებელია რამდენიმე ფორმით (მაგ.: მათი გაერთიანება მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის მმართველ საბჭოში ან სათათბირო ორგანოებში).

39. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე გულისხმობს, რომ მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმში სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით, შშმ პირთა ორგანიზაციების ეფექტიანი მონაწილეობისათვის, მხარე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მათი შესაძლებლობების განვითარებას და დააფინანსონ ეს პროცესი. შშმ პირთა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ სათანადო რესურსები, მათ შორის, დამოუკიდებელი და თვითორგანიზებული დაფინანსება, რათა მონაწილეობა მიიღონ მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმებში, გონივრული მისადაგებითა და მისაწვდომობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შშმ პირთა ორგანიზაციების მხარდაჭერა და დაფინანსება ემატება - და არ გამოირიცხავს - მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით.

40. კონვენცია და მისი იმპლემენტაციის სტრატეგიები უნდა ითარგმნოს და ხელმისაწვდომი გახდეს პირებისათვის, რომლებსაც შეზღუდვის ფართო სპექტრი აღენიშნებათ. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ პირთა წვდომა ინფორმაციაზე, რომლითაც ისინი შეძლებენ, გაიგონ და შეაფასონ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ამ პროცესში.

41. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესრულებისთვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო საკონტაქტო უწყების ან/და მაკოორდინირებელი მექანიზმის მისაწვდომობა შშმ პირებისათვის.

III. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები

42. შემაჯამებელ მოსაზრებებში კომიტეტმა მონაწილე სახელმწიფოებს შეახსენა ვალდებულება, რომ კონვენციის იმპლემენტაციისთვის საჭირო კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება-აღსრულების, ასევე, გადაწყვეტილების მიღების სხვა პროცესებში, მჭიდრო და დროული კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირებთან, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებთან, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით.

43. მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ კონსულტაციის პროცესის გამჭვირვალობის, სათანადო და მისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფისა და ადრეულ თუ მიმდინარე პროცესებში ჩართულობის ვალდებულება. კონსულტაციებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა დაფარონ ინფორმაცია და შშმ პირთა ორგანიზაციებს ხელი არ შეუშალონ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში. გაერთიანების თავისუფლების შესაბამისად (რომელსაც კანონი უნდა ითვალისწინებდეს და დაურეგისტრირებელ ორგანიზაციებს სხვების თანაბრად იცავდეს),

ზემოაღნიშნული მოიცავს როგორც რეგისტრირებულ, ისე დაურეგისტრირებელ ორგანიზაციებს.¹²

44. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირთა ორგანიზაციის რეგისტრაცია არ უნდა მიიჩნიონ კონსულტაციის ფართო პროცესებში მონაწილეობის წინაპირობად. თუმცა, ამ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დარეგისტრირდნენ და შეძლონ მონაწილეობის უფლებით სარგებლობა 4(3) და 33(3) მუხლების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს მსგავსი ორგანიზაციების უფასო და მისაწვდომი სარეგისტრაციო სისტემების არსებობას და რეგისტრაციის ხელშეწყობას.¹³

45. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო გადაწყვეტილების მიღებასა და კონსულტაციასთან დაკავშირებული ყველა პროცედურისა და ობიექტის მისაწვდომობა შშმ პირებისათვის. მათ სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რომ შშმ პირებს, მათ შორის, აუტიზმის მქონე პირებს, სხვების თანასწორად ჰქონდეთ წვდომა ისეთ საშუალებებზე, როგორცაა: ფიზიკური გარემო, შენობები, ტრანსპორტი, საკუთარ ენაზე განათლება, ინფორმაცია და კომუნიკაცია - მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები - სახელმწიფო ორგანოების ვებგვერდები და საზოგადოებისთვის ღია სხვა ობიექტები თუ მომსახურებები, როგორც ურბანულ გარემოში, ისე სოფლად. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონსულტაციის პროცესების მისაწვდომობაც (მაგ.: სურდო თარჯიმნები, ბრაილი, მარტივად წასაკითხი ტექსტები) და, სადაც საჭირო ან აუცილებელია,¹⁴ მხარი დაუჭირონ და დააფინანსონ გონივრული მისადაგება, რომელიც მიზნად ისახავს კონსულტაციის პროცესში ყველა შშმ პირის მონაწილეობას (პუნქტები 11, 12 და 50).

46. სენსორული და ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირთა ორგანიზაციებისათვის, თვითადვოკატირების ორგანიზაციებისა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ორგანიზაციების ჩათვლით, უნდა უზრუნველყონ ასისტენტები და მხარდამჭერი პერსონალი, ინფორმაცია მისაწვდომ ფორმატში (მარტივი ენა, მარტივად წასაკითხი ტექსტი, დამხმარე კომუნიკაციის სისტემები და პიქტოგრამები), ჟესტების ენაზე თარგმნა, თარჯიმნები უსინათლო-ყრუ ადამიანებისათვის და/ან ტიტრები საჯარო დებატებისას.¹⁵ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოყოფნ ფინანსური რესურსები იმ ხარჯების დასაფარად, რომლებიც უკავშირდება შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციას, ტრანსპორტის, ასევე, შეხვედრებსა და ტექნიკურ ბრიფინგებზე დასწრებისათვის საჭირო სხვა ხარჯების ჩათვლით.

47. შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციები უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობას, ურთიერთპატივისცემას, შინაარსობრივ დიალოგსა და გულწრფელ მიზანს, რომ კოლექტიურ შეთანხმებას მიაღწიონ ამ პირთა მრავალფეროვნებაზე მორგებულ პროცედურებთან მიმართებით. მსგავსი პროცესები უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ და რეალისტურ გრაფიკს, რომელიც გაითვალისწინებს შშმ პირთა ორგანიზაციების ბუნებას, ხშირად მათ დამოკიდებულებას „მოხალისეთა“ მუშაობაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა, შშმ

¹² A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტი 45; და A/ადამიანის უფლებათა საბჭო/20/27, პუნქტი 56.

¹³ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტი 40.

¹⁴ ზოგადი კომენტარი №6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, პუნქტები 23 და 40. A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტები 75-77. 20 იქვე, პუნქტები 78-80.

¹⁵ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტები 75-77.²⁰ იქვე, პუნქტები 78-80.

პირთა ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, პერიოდულად უნდა შეაფასონ კონსულტაციის პროცესი და მონაწილეობის მექანიზმების მუშაობა.²⁰

48. შშმ პირთა მოსაზრებებს, რომლებიც წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით გამოითქმება, საჭირო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, ეს მოსაზრებები მხოლოდ ფორმალურად ან კონსულტაციისადმი სიმბოლური მიდგომის ფორმით არ უნდა მიიღონ.¹⁶ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მსგავსი კონსულტაციების შედეგები, მიღებულ გადაწყვეტილებებში ასახონ¹⁷ და დროულად აცნობონ მონაწილეებს.¹⁸

49. შშმ პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო და ეფექტიანი კონსულტაციებითა და მათი აქტიური ჩართულობით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სათანადო და გამჭვირვალე მექანიზმები და პროცედურები ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებასა თუ დონეზე. ამის მიზანია მსგავსი ორგანიზაციების მოსაზრებათა უშუალოდ გათვალისწინება საჯარო გადაწყვეტილების მიღებისას.

50. მონაწილე სახელმწიფოებმა აქტიური კონსულტაცია უნდა გაიარონ ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმომადგენლობას უწევენ ყველა შშმ ადამიანს. მათ შორის იგულისხმებიან: ქალები, ხანდაზმულები, ბავშვები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები,²⁴ ნადმის მსხვერპლნი, მიგრანტები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, დევნილები, უსაბუთო და მოქალაქეობის არმქონე პირები; პირები, რომელთაც აქვთ ფაქტობრივი ან აღქმული ფსიქოსოციალური საჭიროებები, ინტელექტუალური დარღვევები, სხვადასხვა ნევროლოგიური პრობლემები, აუტიზმი, დემენცია, ალბინიზმი, მყარი ფიზიკური დარღვევები, ქრონიკული ტკივილი, ან კეთრი; უსინათლო, ყრუ, უსინათლო-ყრუ, სმენის დაქვეითების ან აივ/შიდსის მქონე პირები და ა.შ. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებაა შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობის კუთხით ასევე მოიცავს შშმ პირებს, რომლებსაც აქვთ კონკრეტული სექსუალური ორიენტაცია და/ან გენდერული იდენტობა, განეკუთვნებიან ინტერსექს ადამიანებს, მკვიდრ მოსახლეობას, ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს, ანდა ცხოვრობენ სოფლად.

51. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ დისკრიმინაციული და სხვა პრაქტიკა მესამე პირების (მაგ.: მომსახურების მიმწოდებლების) მხრიდან, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უშლის ხელს შშმ პირებთან მჭიდრო კონსულტაციას და მათ აქტიურ ჩართულობას კონვენციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

52. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ კანონები და პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მონაწილეობას კონსულტაციაში და აღკვეთს მათი მონაწილეობის შეფერხებას სხვების მხრიდან. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს ოჯახის წევრების, მომსახურების მიმწოდებლებისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ მექანიზმები, რომლებიც აღკვეთს შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინტერესთა კონფლიქტს, ასევე, მათ უარყოფით ზემოქმედებას შშმ პირთა ავტონომიაზე, სურვილებსა და პრიორიტეტებზე.

53. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი

¹⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 12, მუხლი 132.

¹⁷ CRPD/C/COL/CO/1, მუხლი 11(ა).

¹⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 12, მუხლი 45.

²⁴ CRPD/C/ARM/CO/1, მუხლი 6 (ა).

სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები თუ პროცედურები. ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შშმ პირთა სრულყოფილ და თანასწორ ჩართულობას (წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით) ისეთ პროცესებში, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება, კანონმდებლობისა და პოლიტიკის, მათ შორის, შშმ პირებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება. სახელმწიფო მხარეებმა უნდა გაატარონ სპეციალური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მუდმივმოქმედ კომიტეტებსა და/ან დროებით სამუშაო ჯგუფებში შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლობას, კერძოდ, ამ ორგანოებში კანდიდატთა წარდგენის უფლების მინიჭებით.

54. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ და დაარეგულირონ კონსულტაციის ფორმალური მექანიზმები, ისეთი გზებით, როგორცაა: გამოკითხვები, შეხვედრები და სხვა მეთოდები, სათანადო დროის გამოყოფა, შშმ პირთა ორგანიზაციების ადრეული ჩართულობა და თითოეულ ამ პროცესამდე შესაბამისი ინფორმაციის დროული და ფართო გავრცელება. შშმ პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან კონსულტაციის ონლაინ მექანიზმები, ან ალტერნატიული მეთოდები მისაწვდომ ციფრულ ფორმატში. იმისათვის, რომ კონსულტაციისას არავინ გამორჩეთ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოყონ დასწრების გაკონტროლებაზე პასუხისმგებელი პირები. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს და გონივრული მისადაგებისა და მისაწვდომობის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებზე ინფორმაციის გავრცელებით, მათ კონსულტაციებში უნდა ჩართონ შშმ პირთა წარმომადგენელი ყველა ჯგუფი.

55. შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაცია და მათი ჩართულობა მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მოსამზადებელი კვლევებისა და პოლიტიკის შესამუშავებლად საჭირო ანალიზის დროსაც. პოლიტიკის პროექტთა განხილვის პროცესები და საჯარო დებატები შშმ პირთა მონაწილეობისათვის სრულად მისაწვდომი უნდა იყოს.

56. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მონიტორინგის პროცესებში შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართვა დამოუკიდებელი მექანიზმების მეშვეობით, ეყრდნობოდეს ნათელ პროცედურას, სათანადო გრაფიკსა და შესაბამისი ინფორმაციის წინასწარ გავრცელებას. მონიტორინგისა და შეფასების სისტემები უნდა ამოწმებდეს შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობის დონეს ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში და უპირატესობის მინიჭებას ამ პირთა მოსაზრებებისათვის. მომსახურების მიწოდების ძირითადი ვალდებულების შესრულებისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ შშმ პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ეს მათ მისცემს უშუალოდ მომსახურების მომხმარებელთა ჩართვის საშუალებას.¹⁹

57. სასურველია, მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ შშმ პირთა ორგანიზაციების ერთიანი და მრავალფეროვანი წარმომადგენლობითი კოალიციის შექმნას, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების სრულ სპექტრს, პატივს სცემს მრავალფეროვნებასა და თანასწორობას და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობასა თუ ჩართულობას კონვენციის მონიტორინგში ეროვნულ დონეზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ზოგადად, ვერ წარმოადგენენ ან ჩანაცვლებენ შშმ პირთა ორგანიზაციებს.²⁰

58. შშმ პირთა მიერ ადვოკატირების ხელშეწყობა და მათი გაძლიერება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უმთავრესი კომპონენტებია; ეს

¹⁹ A/71/314, პუნქტები 65–66.

²⁰ CRPD/C/ESP/CO/1, პუნქტი 6; და CRPD/C/NZL/CO/1, პუნქტი 4.

ითვალისწინებს ტექნიკური, ადმინისტრაციული და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, ასევე, წვდომას უფლებებზე, ინფორმაციაზე კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების შესახებ, და მექანიზმებზე.

59. ინკლუზიურ განათლებაზე წვდომის კუთხით შშმ პირების წინაშე არსებული ბარიერები ხელს უშლის მათ ჩართულობას საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათი ორგანიზაციების ინსტიტუციურ შესაძლებლობებზე. შშმ პირთა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის სირთულე, სათანადო საცხოვრისის არარსებობა, დაბალი ან უკმარი შემოსავალი და უმუშევრობა ზღუდავს მათ მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებში.

60. პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე, მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირთა ორგანიზაციები უნდა გააძლიერონ შესაძლებლობათა განვითარებითა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, მათ შორის, ტრენინგით დამოუკიდებელი დაფინანსების შესახებ. ამ სახელმწიფოებმა შშმ პირებსა და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს მხარი უნდა დაუჭირონ საზოგადოებაში სრულყოფილ და ეფექტიან მონაწილეობაში, კერძოდ, დამოუკიდებლად ადვოკატირებისათვის საჭირო კომპეტენციის, ცოდნისა თუ უნარების და უფრო ძლიერი დემოკრატიული მმართველობის პრინციპების განვითარებაში, როგორცაა ადამიანის უფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, პლურალიზმი და მონაწილეობა. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა მათ დაფინანსების მოპოვებასა და მხარდაჭერის წყაროების გამრავალფეროვნებაში უნდა შეუწყონ ხელი.²¹

61. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ პირთა ორგანიზაციებს შეეძლოთ მარტივი და უფასო რეგისტრაცია, ასევე, სახსრების მოპოვება შემდეგი მხარეებისაგან: ეროვნული და საერთაშორისო დონორები, მათ შორის, კერძო პირები და კომპანიები; საჯარო და კერძო ფონდები; სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო, რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.²⁸ კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა კონსულტაციებისთვის შესაბამისი სახსრები გამოყოფონ, მათ შორის, შემდეგი გზებით:

(a) თანხების პირდაპირი გამოყოფა შშმ პირთა ორგანიზაციებისათვის, მესამე მხარის ჩართვის გარეშე;

(b) რესურსების გამოყოფისას, პრიორიტეტის მინიჭება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შშმ პირთა უფლებების ადვოკატირებაზე ამახვილებენ ყურადღებას;

(c) მონიტორინგის მექანიზმის, ასევე, კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების, განვითარებისა და იმპლემენტაციის პროცესში სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით, სპეციალური სახსრების გამოყოფა შშმ ქალებისა და ბავშვების ორგანიზაციებისათვის;²²

(d) სახსრების თანაბარი განაწილება შშმ პირთა ორგანიზაციებს შორის, მდგრადი ინსტიტუციური დაფინანსების ჩათვლით, და არა მხოლოდ პროექტებზე დაფუძნებული დაფინანსებით;

(e) შშმ პირთა ორგანიზაციების ავტონომიურობა ადვოკატირების დღის წესრიგის განსაზღვრის კუთხით, მიუხედავად მიღებული დაფინანსებისა;

²¹ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, 47–50 პუნქტები.²⁸ A/ადამიანის უფლებათა საბჭო/20/27, პუნქტები 67–68.
²² CRPD/C/1/Rev.1, დანართი.

(f) შშმ პირთა ორგანიზაციების მუშაობის დაფინანსებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსების გამიჯვნა;

(g) დაფინანსების მისაწვდომობა შშმ პირთა ყველა ორგანიზაციისათვის, მათ შორის, თვითადვოკატირებისა და/ან იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, იმ კანონების გამო, რომლებიც მათი წევრების სამართლებრივ ქმედუნარიანობას არ აღიარებს და აბრკოლებს ამ ორგანიზაციათა რეგისტრაციას;

(h) დაფინანსებისათვის განცხადების წარდგენის პროცესის მიღება და იმპლემენტაცია მისაწვდომ ფორმატებში.

62. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ პირთა ორგანიზაციებს საკუთარი აქტივობების მხარდაჭერისათვის სახელმწიფო რესურსებზე წვდომა აქვთ და თავიდან უნდა აირიდონ სიტუაცია, რომელშიც აღნიშნული ორგანიზაციები მხოლოდ გარე წყაროებზე იქნებიან დამოკიდებულნი და, ამდენად, შეზღუდვებით ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.²³ შშმ პირთა ორგანიზაციებს, რომლებიც მხარდაჭერას იღებენ სახელმწიფო და კერძო ფინანსური რესურსებიდან, რასაც წევრობის გადასახადიც ემატება, უკეთესად შეუძლიათ უზრუნველყონ შშმ პირების მონაწილეობა პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში, რადგან ისინი ამ პირებს მხარს უჭერენ და ქმნიან და ამუშავენ ინდივიდებსა თუ ჯგუფებზე ორიენტირებულ სოციალურ აქტივობებს.

63. მონაწილე სახელმწიფოებმა, სამართლებრივად აღიარებული ფორმალური მექანიზმის მეშვეობით (მაგ.: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული ნდობის ფონდები), შშმ პირთა ორგანიზაციებისათვის სათანადო და საკმარისი დაფინანსება უნდა უზრუნველყონ.

64. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ სახელმწიფო რესურსები, რომლებიც მოხმარდება ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას; ასევე, უზრუნველყონ ამ ორგანიზაციების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე, მათ შორის, საგადასახადო ვალდებულებისაგან გათავისუფლების, მემკვიდრეობის გადასახადის გაუქმებისა და ეროვნული ლატარეის მეშვეობით.²⁴ მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ შშმ პირთა ორგანიზაციების წვდომას უცხოურ დაფინანსებაზე და გაამარტივონ ეს პროცესი, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების დახმარების ფარგლებში, ისე რეგიონულ დონეზე და ადამიანის უფლებათა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანასწორად.

65. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ძლიერი მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც 4(3) და 33(3) მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობისას აწესებს ეფექტიან სანქციებს. შესრულებას მონიტორინგი უნდა გაუწიონ დამოუკიდებელმა ორგანოებმა (მაგ.: სახალხო დამცველი ან საპარლამენტო კომისია), რომლებსაც აქვთ გამოძიების დაწყებისა და შესაბამისი უწყებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება. ამავე დროს, შშმ პირთა ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ სამართალწარმოების წამოწყება იმ ორგანოების წინააღმდეგ, რომლებიც, მათი შეხედულებით, არ ითვალისწინებენ 4(3) და 33(3) მუხლების მოთხოვნებს.²⁵ მსგავსი მექანიზმები უნდა გახდეს ეროვნული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის²⁶ და იმ სამართლებრივი ჩარჩოების ნაწილი, რომლებიც

²³ A/71/314, პუნქტები 65-66.

²⁴ A/59/401, პუნქტი 82 (1) (უ); და A/ადამიანის უფლებათა საბჭო/31/62, პუნქტები 51-54.

²⁵ A/71/314, პუნქტები 68-69.

²⁶ ზოგადი კომენტარი № 6, მუხლი 72.

გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე არეგულირებს შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციასა და მათ ჩართულობას.

42. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ეფექტიანი ინსტრუმენტები, კოლექტიური საშუალებების ჩათვლით, ან კოლექტიური სარჩელები, რომლებიც შშმ პირთა მონაწილეობის უფლებას აღასრულებს. სახელმწიფო უწყებებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე წვდომაში, როდესაც საქმე ეხება მათ უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე სიტუაციებს.²⁷ ეფექტიან საშუალებებს შორისაა: (a) პროცედურის შეჩერება; (b) პროცედურის ადრეულ ეტაპზე დაბრუნება შშმ პირებთან კონსულტაციისა და მათი ჩართულობისათვის; (c) გადაწყვეტილების აღსრულების გადადება სათანადო კონსულტაციების გავლამდე; ან (d) გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა 4(3) და 33(3) მუხლებთან შეუსაბამობის გამო.

IV. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

67. მე-3 მუხლი გამოყოფს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებიც კონვენციის განმარტებასა და განხორციელებას ხელმძღვანელობს. ეს მოიცავს „სრულყოფილ და ეფექტიან მონაწილეობასა და ჩართვას საზოგადოებაში“, რაც გულისხმობს, რომ შშმ პირთა მონაწილეობა, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, მთელ ტექსტს გასდევს და კონვენციაზე სრულად ვრცელდება.²⁸

68. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი - მონაწილე სახელმწიფოთა ზოგადი ვალდებულებების ნაწილი - მთელ კონვენციაზე ვრცელდება და მნიშვნელოვანია დოკუმენტით განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულებაში.

69. მე-4 მუხლის 1, 2 და 5 პუნქტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესრულებაში, რადგან ისინი მოიცავს მონაწილე სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებებს, ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე ვრცელდება ფედერაციული სახელმწიფოების ყველა ნაწილზე, ასევე, უკავშირდება აუცილებელი სტრუქტურებისა და ჩარჩოების ჩამოყალიბებას და ზომების მიღებას კონვენციასთან შესაბამისობისათვის.

70. შშმ პირთა თანასწორობასა და დისკრიმინაციისაგან დაცვაზე ისაკენ მიმართული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რასაც ითვალისწინებს მე-5 მუხლი, მიღებული უნდა იყოს და მონიტორინგი უნდა გაეწიოს 4(3) და 33(3) მუხლების შესაბამისად. ³⁶ მჭიდრო კონსულტაცია შშმ პირთა ორგანიზაციებთან, რომლებიც საზოგადოების ნაირსახეობას წარმოადგენენ, ასევე, მათი აქტიური ჩართულობა, უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია დე ფაქტო და ინკლუზიური თანასწორობის სამართლებრივი ჩარჩოებისა თუ სახელმძღვანელო მასალების, მათ შორის, პოზიტიური ღონისძიებების მიღებისა და მონიტორინგის პროცესში.

71. კონსულტაციის პროცედურები არ უნდა გამორიცხავდეს შშმ პირებს ანდა იწვევდეს მათ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. პროცედურები და მათთან დაკავშირებული მასალები ინკლუზიური და მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისათვის. ისინი უნდა გაიწეროს დროის გრაფიკით და მოიცავდეს

²⁷ იქვე. პუნქტი 73(თ).

²⁸ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგი: მითითებები ადამიანის უფლებათა მონიტორინგისათვის, პროფესიონალური ტრენინგის მე-17 სერია (ნიუ იორკი და ჟენევა, 2010). ³⁶ იხ. ზოგადი კომენტარი №6.

ტექნიკურ მხარდაჭერას კონსულტაციის პროცესში ადრეული ჩართულობისათვის. დიალოგისა და კონსულტაციის ყველა პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს გონივრული მისადაგება, შესაბამისი კანონმდებლობა და პოლიტიკა კი შემუშავდეს შშმ პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციითა და მათი აქტიური მონაწილეობით.

72. კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ ზომებს შშმ ქალებისა და გოგონების სრული განვითარების, წინსვლისა და გაძლიერებისათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ და ხელი შეუწყონ შშმ ქალებისა და გოგონების ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, როგორც ამ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მექანიზმს. ეს უნდა მოხდეს შშმ მამაკაცთა თანასწორად და საკუთარი ორგანიზაციების მეშვეობით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ შშმ ქალების უფლება, რომ ორგანიზება გაუწიონ და ხელი შეუწყონ საკუთარ ეფექტიან მონაწილეობას 4(3) და 33(3) მუხლებით განსაზღვრულ მჭიდრო კონსულტაციებში. შშმ ქალები და ბავშვები ასევე თანასწორად უნდა იყვნენ გათვალისწინებულნი განხორციელებისა და მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის ყველა განმტობებასა და ორგანოში. კონსულტაციის ყველა ორგანო, მექანიზმი და პროცედურა უნდა იყოს შეზღუდულ შესაძლებლობებზე სპეციალიზებული, ინკლუზიური და გენდერულად თანასწორი.

73. შშმ ქალები შშმ კაცების თანასწორად უნდა წარმოადგენდნენ შშმ პირთა ორგანიზაციების მმართველ გუნდს და შშმ პირთა ქოლგისებურ ორგანიზაციებში უნდა ჰქონდეთ საჭირო სივრცე და ძალაუფლება (მაგ.: თანაბარი წარმომადგენლობა, ქალთა კომიტეტები, გაძლიერების პროგრამები და ა.შ.). მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ ქალების, მათ შორის, რაიმე ფორმის მეურვეობის ქვეშ და ინსტიტუტებში მყოფი ქალების მონაწილეობა. ეს უნდა უნდა იქცეს ყველა იმ მექანიზმის შექმნის, დანერგვისა და მონიტორინგის წინაპირობად, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. შშმ ქალებს უნდა შეეძლოთ მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც მიემართება ქალთა უფლებებსა და, ზოგადად, გენდერულ თანასწორობაზე ექსკლუზიური ან ირიბი ზეგავლენის მქონე საკითხებს (მაგ.: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების პოლიტიკა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმა).

74. 4(3) და 33(3) მუხლებს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება შშმ ბავშვების უფლებათა განხორციელების კუთხით, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა შშმ ბავშვებმა წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით შეძლონ მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა მათ ცხოვრებაზე (სკოლასა და თემში, ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე) ზეგავლენის მქონე კანონმდებლობის, პოლიტიკის, მომსახურებისა და პროგრამების დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. მონაწილეობის მიზანია შშმ ბავშვების გაძლიერება, ასევე, პასუხისმგებელი ორგანოების მიერ აღიარება, რომ შშმ ბავშვები უფლებების მქონე პირები არიან, რომლებსაც აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ საკუთარ თემსა და საზოგადოებაში. ეს მოიცავს სხვადასხვა დონეს - დაწყებული მოსახრების გამოთქმის უფლების აღიარებით და დამთავრებული საკუთარი უფლებების რეალიზაციაში აქტიური ჩართულობით.²⁹

75. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ ბავშვებს მხარი უნდა დაუჭირონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათთვის უზრუნველყონ მოსახრების გამოხატვისთვის საჭირო კომუნიკაციის მეთოდები და მათი გამოყენების

²⁹ გაეროს ბავშვთა ფონდი, „მოზარდთა მონაწილეობის მონიტორინგის შედეგების კონცეპტუალური ჩარჩო“ (2018 წ. მარტი), ხელმისაწვდომია: www.unicef.org/adolescence/files/Conceptual_Framework_for_Measuring_Outcomes_of_Adolescent_Participation_March_2018.pdf.

შესაძლებლობა.³⁰ ეს მოიცავს ბავშვებზე მორგებულ ინფორმაციას და სათანადო მხარდაჭერას თვითადვოკატირებისათვის, ასევე, მსგავს ბავშვებთან ან მათთვის მომუშავე პროფესიონალთა სათანადო ტრენინგებს.³¹ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დარღვევასა და ასაკზე მორგებული დახმარება და პროცედურები და შშმ ბავშვების მხარდაჭერა. მათი ორგანიზაციების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შშმ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებში, თვითონ ბავშვების მოსაზრებებს კი ასაკისა და მომწიფების შესაბამისი ყურადღება მიექცეს.

76. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ამაღლების კუთხით (მუხლი 8). კომიტეტი შეახსენებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობით განახორციელონ ცნობიერების ამაღლების სისტემატური პროგრამები, მათ შორის, საჯარო რადიო და სატელევიზიო პროგრამების საშუალებით წარმოებული მედიაკამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ ადამიანების წარმოჩენას უფლებების მქონე პირებად.³² ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ტრენინგპროგრამები, რომლებიც მორგებულია საჯარო მოხელეებზე, უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის პრინციპებს, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების გადასალახად კი ეყრდნობოდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

77. იმისათვის, რომ შშმ პირთა ორგანიზაციებმა კონვენციაზე კონსულტაციისა და მონიტორინგის პროცესებში სათანადო მონაწილეობა მიიღონ, აუცილებელია პროცედურების, მექანიზმების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ობიექტებისა და შენობების ოპტიმალური მისაწვდომობა და გონივრული მისადაგება (მე-9 მუხლი). მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ მისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტები და უნივერსალური დიზაინის პროცესი (მაგ.: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების³³ სფეროში), შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციისა და მათი აქტიური ჩართულობისათვის.⁴²

78. რისკისა და ჰუმანიტარული კატასტროფის სიტუაციებში (მუხლი 11), მონაწილე სახელმწიფოებმა და ჰუმანიტარულმა აქტორებმა უნდა უზრუნველყონ შშმ პირების, მათ შორის, ყველა ასაკის შშმ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის აქტიური ჩართულობა, კოორდინაცია და კონსულტაცია. ეს მოითხოვს: შშმ პირთა ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში; ასევე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ჩამოყალიბებას დახმარების განაწილების თვალსაზრისით. მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ შშმ დევნილებისა და ლტოლვილების ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებსაც ექნებათ საშუალება, რომ სახიფათო სიტუაციებში, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტებში, ხელი შეუწყონ მათი უფლებების დაცვას.

79. კანონის წინაშე თანასწორობა (მუხლი 12) ნიშნავს, რომ ყველა შშმ პირს ჰქონდეს სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობის უფლება და სხვების თანასწორად შეეძლოს იმ გადაწყვეტილებების მიღება-გაკონტროლება, რომლებიც მათზე გავლენას ახდენს. კანონის წინაშე თანასწორობა წინაპირობაა იმისა, რომ შშმ პირები პირდაპირ და ეფექტიანად იყვნენ ჩართულნი კონსულტაციებში, ასევე, კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონმდებლობისა და პოლიტიკის

³⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №12, პუნქტი 21.

³¹ იქვე., პუნქტი 34.

³² CRPD/C/MDA/CO/1, პუნქტი 19; CRPD/C/AZE/CO/1, პუნქტი 21; და CRPD/C/TUN/CO/1, პუნქტი 21.

³³ ზოგადი კომენტარი №2 (2014) მისაწვდომობის შესახებ, პუნქტები: 5-7 და 30.

⁴² იქვე., პუნქტები: 16, 25, 48.

შემუშავება-აღსრულების პროცესში. კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, მე-12 მუხლთან შესაბამისობა არცერთ შემთხვევაში არ აფერხებს 4(3) და 33(3) მუხლებით გათვალისწინებულ ინკლუზიურ იმპლემენტაციას. კანონები და პოლიტიკა უნდა შეიცვალოს მონაწილეობის იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც დაფუძნებულია სამართლებრივი ქმედუნარიანობის უარყოფაზე.

80. კომიტეტი კვლავ იშველიებს/იხსენებს № 1 (2014) ზოგად კომენტარს კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ სამართლებრივი ქმედუნარიანობა უმნიშვნელოვანესია საზოგადოებაში სრულყოფილი და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე წვდომის კუთხით. ამიტომ ის გარანტირებული უნდა იყოს ყველა შშმ პირისათვის, მათ შორის იგულისხმებიან ინტელექტუალური დარღვევების, აუტიზმის ან დადასტურებული თუ სავარაუდო ფსიქოსოციალური დარღვევის მქონე პირები და შშმ ბავშვები, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით. მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებელს გახდის პოლიტიკის შემუშავებას, ასევე, კონსულტაციებში პირის ავტონომიის, სურვილებისა და პრიორიტეტების შესაბამის მონაწილეობას.

81. შშმ პირთა წვდომა მართლმსაჯულებაზე (მუხლი 13) გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლება, სხვების თანასწორად მიიღონ მონაწილეობა მართლმსაჯულების ზოგად სისტემაში. ასეთ მონაწილეობას ბევრი ფორმა აქვს და კარგი მმართველობის ხელშემწყობ დემოკრატიულ სისტემაში მოიცავს შშმ პირთა მიერ მოსარჩევეების, დაზარალებულების, მოპასუხეების, მოსამართლეების, მსაჯულებისა და ადვოკატთა როლების შესრულებას.³⁴ შშმ პირებთან მჭიდრო კონსულტაცია (მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით) უმნიშვნელოვანესია იმ კანონების, რეგულაციების, პოლიტიკისა და პროგრამების ამოქმედებისა თუ ცვლილების პროცესში, რომლებიც მიემართება ამ პირთა მონაწილეობას მართლმსაჯულების სისტემაში.

82. ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმისაგან დასაცავად (მუხლი 16), მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ პირებისათვის შექმნილი დაწესებულებებისა და პროგრამების ეფექტიანი მონიტორინგი დამოუკიდებელ ორგანოთა მხრიდან. კომიტეტი აღნიშნავს, რომ შშმ პირთა უფლებები ჯერ კიდევ ირღვევა ინსტიტუციებში, რომლებიც ამ პირებს „ემსახურებიან“, მათ შორის, ფსიქიატრიულ ან/და საცხოვრებელ დაწესებულებებში. 33(3) მუხლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა 16(3) მუხლით გათვალისწინებული მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანო 33(2) მუხლით განსაზღვრულ მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმს, სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის, შშმ პირთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ამ დაწესებულებებისა და მომსახურებების მონიტორინგში.

83. კომიტეტის №5 (2017) ზოგადი კომენტარის შესაბამისად, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების რეალიზაციისას (მუხლი 19) შშმ პირებთან კონსულტაცია, ასევე, მათი აქტიური ჩართულობა წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, უმნიშვნელოვანესია ყველა გეგმისა და სტრატეგიის მიღების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის პროცესში. გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე კონსულტაციები უნდა მოიცავდეს ყველა შშმ პირს. შშმ პირები, მათ შორის, ამჟამად ინსტიტუციურ გარემოში მცხოვრებნი, ჩართულნი უნდა იყვნენ დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიათა დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში, ასევე, მათი მხარდამჭერი მომსახურების შემუშავებაში.³⁵

³⁴ ბიზლი ავსტრალიის წინააღმდეგ (CRPD/C/15/D/11/2013), პუნქტი 8.9; და ლოკრი ავსტრალიის წინააღმდეგ (CRPD/C/15/D/13/2013), პუნქტი 8.9.

³⁵ ზოგადი კომენტარი №5 (2017) დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის შესახებ, პუნქტი 71.

84. ინფორმაციის მისაწვდომობა მონიტორინგის პროცესში შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობის, სრული მონაწილეობისა და მათ მიერ საკუთარი აზრის თავისუფალი გამოთქმისათვის აუცილებელია. ამ ორგანიზაციებმა დროულად და დამატებითი ხარჯის გარეშე უნდა მიიღონ ინფორმაცია მისაწვდომ ფორმატებში, მათ შორის, ციფრულ ფორმატებში და ტექნოლოგიითა, რომელიც დარღვევების . აქ იგულისხმება: ჟესტების ენა, იოლად წასაკითხი ტექსტები, მარტივი ენა, ბრაილი, ალტერნატიული თუ დამხმარე კომუნიკაცია, ასევე, კომუნიკაციის ყველა სხვა მისაწვდომი ფორმა, საშუალება და ფორმატი, რომლებსაც შშმ პირები უპირატესობას ანიჭებენ ოფიციალურ ურთიერთობებში. კონსულტაციებამდე საკმარისი დროით ადრე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, კონკრეტული საბიუჯეტო და სტატისტიკური მონაცემები, ასევე, ინფორმირებული მოსაზრებისთვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

85. კომიტეტის № 4 (2016) ზოგადი კომენტარის მიხედვით, ინკლუზიური განათლების უფლების (მუხლი 24) უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი პოლიტიკისა თუ კანონმდებლობის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების დროს, მონაწილე სახელმწიფოებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირებთან, მათ შორის, ბავშვებთან, და აქტიურად ჩართონ ისინი პროცესში წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით.³⁶ ინკლუზიური განათლება აუცილებელია შშმ პირთა მონაწილეობისათვის, რასაც ითვალისწინებს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი. განათლება ადამიანებს აძლევს განვითარების საშუალებას და ზრდის საზოგადოებაში მათი მონაწილეობის ალბათობას, რაც აუცილებელია კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგისათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო და კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა კონსულტაცია გაიარონ შშმ პირებთან და სათანადოდ გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები განათლების სისტემაში.

86. შშმ პირთა შრომისა და დასაქმების უფლებაზე (მუხლი 27) მიმართული პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩართულობასა და მათთან კონსულტაციებს. მისი მიზანი უნდა იყოს: დასაქმების მისაწვდომობა; ღია, ინკლუზიური, არადისკრიმინაციული, მისაწვდომ და კონკურენტუნარიან დასაქმების ბაზარზე და გარემოში მუშაობის ხელშეწყობა; თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა; გონივრული მისადაგება და მხარდაჭერა ყველა შშმ პირისათვის.

87. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტისა და სოციალური დაცვის უფლების რეალიზაცია (მუხლი 28) პირდაპირ უკავშირდება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს. შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობა საჯარო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გადაჭრან ამ პირთა გარიყვის, უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემები. კერძოდ, მხარე სახელმწიფოებმა პროცესში უნდა ჩართონ მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის, ქალები და ხანდაზმულები, ასევე, ის შშმ პირები, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო და სტაბილური შემოსავალი, ან ვერ მუშაობენ შემწეობისა და შედავათების დაკარგვის შიშით, ანდა ცხოვრობენ სოფლად თუ მოშორებულ ადგილებში. 28-ე მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებული ზომების, სტრატეგიების, პროგრამების, პოლიტიკისა და კანონმდებლობის მიღება-გადახედვისას, ასევე, მათზე მონიტორინგის დროს, მონაწილე სახელმწიფოებმა მჭიდრო კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირთა ორგანიზაციებთან (რომლებიც წარმოადგენენ ყველა შშმ პირს), აქტიურად ჩართონ

³⁶ ზოგადი კომენტარი № 4 ინკლუზიური განათლების შესახებ, პუნქტი 7.

ისინი პროცესში, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მენისტრირმინგი და სათანადოდ გათვალისწინონ ამ პირთა მოთხოვნები და შეხედულებები.

88. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 29) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებაში შშმ პირთა სრულყოფილი და ეფექტიანი ჩართულობისათვის, ასევე, ინკლუზიის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ხმის მიცემა და არჩევნებში მონაწილეობა ამ უფლების აუცილებელი ნაწილია, რადგანაც არჩეული წარმომადგენლები წყვეტენ პოლიტიკურ დღის წესრიგს, ამასთანავე, კონვენციის დანერგვისა და მონიტორინგის მეშვეობით, გადამწყვეტ როლს ასრულებენ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ადვოკატების პროცესში.

89. მონაწილე სახელმწიფოებმა რეგულაციები უნდა მიიღონ შშმ პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციით, რათა შშმ პირებს, რომლებსაც დახმარება ესაჭიროებათ, ჰქონდეთ ხმის დამოუკიდებლად მიცემის საშუალება. ეს შეიძლება საჭიროებდეს ხმის მისაცემ ჯიხურებში დამხმარე საშუალებების მისაწვდომობას (არჩევნების დღეს და წინასაარჩევნო პერიოდში), როგორც ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში, ისე სახელმწიფო რეფერენდუმებში.

90. მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების, ასევე, კონსულტაციების პროცესში უნდა ჩაერთოს დარღვევების ფართო სპექტრიდან ყველას ან რამდენიმეს წარმომადგენელი, შშმ პირთა ორგანიზაციების მეშვეობით (მუხლი 31).

91. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან მონაცემთა შეგროვების ერთიანი სისტემა, რომელიც სქესის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილების, სოფლის/ურბანული მოსახლეობის, დარღვევის ტიპისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით მოაგროვებს მაღალხარისხიან, საკმარის, დროულ და სანდო მონაცემებს ყველა შშმ პირზე, ასევე, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა მისაწვდომობაზე. შშმ პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატისტიკის შესახებ "ვაშინგტონის ჯგუფის" გამოყენებით, მათ უნდა ჩამოაყალიბონ კონვენციის ასამოქმედებლად საჭირო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების სისტემა. აღქმებსა და დამოკიდებულებებზე ინფორმაციის მისაღებად, უნდა შეიქმნას მონაცემთა მოპოვების დამატებითი მექანიზმები. ისინი უნდა მოიცავდეს ჯგუფებს, როლებსაც „ვაშინგტონის ჯგუფი“ არ ფარავს.

92. საერთაშორისო თანამშრომლობაზე (32-ე მუხლი) გადაწყვეტილების მიღებისა და მისი აღსრულებისას, კონვენციის შესაბამისი განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის გადამწყვეტი როლი აქვს შშმ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობას და მათ ჩართულობას წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით. ამგვარი კონსულტაცია და მონაწილეობა აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გეგმების, პროგრამებისა და პროექტების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის ყველა ეტაპზე. ამ პროექტებს შორის არის „კატასტროფის რისკების შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამა 2015-2030 წლებისათვის“.

93. 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი მნიშვნელოვანია კომიტეტის წევრობის შესაბამისი კრიტერიუმების დასაცავად. ეს პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ნორმების სათანადოდ გათვალისწინების ვალდებულებას კანდიდატთა დასახელებისას. შესაბამისად, მათ დასახელებამდე, მონაწილე სახელმწიფოებმა მჭიდრო კონსულტაცია უნდა გაიარონ შშმ პირთა ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩართონ ისინი პროცესში. გამჭვირვალე და მონაწილეობითი პროცედურებისათვის - რომლებიც მოიცავს შშმ პირთა ორგანიზაციებს, ითვალისწინებს კონსულტაციების შედეგებს და მათ საბოლოო ნომინაციაში ასახავს - საჭიროა ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოებისა და პროცედურების შემუშავება.

V. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

94. კომიტეტი აღიარებს, რომ კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში, მონაწილე სახელმწიფოები გამოწვევების წინაშე დგანან შშმ პირებთან კონსულტაციისა და მათი ჩართულობის კუთხით. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის სრული აღსრულებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები (და არამხოლოდ):

(a) გააუქმონ ყველა კანონი, რომლებიც სამართლებრივ ქმედუნარიანობას უარყოფს და ნებისმიერ შშმ პირს, დარღვევის ტიპის მიუხედავად, ხელს უშლის მჭიდრო კონსულტაციებში მონაწილეობასა და აქტიურ ჩართულობაში შშმ პირთა ორგანიზაციის მეშვეობით.

(b) შექმნან ხელშემწყობი გარემო შშმ პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, მათი დაფუძნებისა და მდგრადი საქმიანობისთვის სასარგებლო პოლიტიკის ჩარჩოს მიღებით. ეს სახელმწიფოს მხრიდან გულისხმობს შემდეგ ქმედებებს: დამოუკიდებლობისა და ავტონომიის გარანტირება; დაფინანსების სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბება, დანერგვა და მისაწვდომობა, სახელმწიფო დაფინანსებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩათვლით; ამ პირთა მხარდაჭერა შესაძლებლობების გაძლიერების პროცესში, მათ შორის, ტექნიკური უზრუნველყოფა;

(c) აკრძალონ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონვენციით დაცულ უფლებებზე მომუშავე პირებისა და ორგანიზაციების დაშინება, შევიწროება და საპასუხო ქმედება. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ მექანიზმები, რომლებიც შშმ პირებსა და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს დაიცავს მსგავსი ქმედებებისგან, მათ შორის, კომიტეტთან, სხვა საერთაშორისო ორგანოებსა და ადამიანის უფლებათა მექანიზმებთან თანამშრომლობისას;

(d) ინკლუზიისა და სრული მონაწილეობის მიზნით, ხელი შეუწყონ ქოლგისებური შშმ ორგანიზაციების დაარსებას, რომლებიც მონიტორინგის პროცესში კოორდინაციასა და წარმომადგენლობას გაუწევენ წევრ ორგანიზაციებს, ასევე, სხვადასხვა დარღვევის მქონე პირთა ინდივიდუალურ ორგანიზაციებს, და მოიცავენ ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებსაც. თუ წევრი სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ინდივიდუალური ჯგუფის ორგანიზაციის ჩართვისას დაბრკოლებას აწყდება - და ეს ვერც ქოლგისებური ორგანიზაციის ან შშმ პირთა ორგანიზაციების კოალიციის მეშვეობით ხერხდება - შეუძლია, მათი წევრები პერმანენტულ ან დროებით სამუშაო ჯგუფებში ჩართოს;

(e) მიიღონ: კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომლებიც აღიარებს შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობისა და ჩართულობის უფლებას; ასევე, რეგულაციები, რომლებიც ნათელ პროცედურებს აყალიბებს უფლებამოსილების განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე კონსულტაციებისთვის. ეს სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს საჯარო მოსმენის აუცილებლობას გადაწყვეტილების მიღებამდე და მოიცავდეს ნორმებს, რომლებიც მოითხოვს ნათელი დროის გრაფიკის გაწერას, კონსულტაციების მისაწვდომობას, ასევე, გონივრული მისადაგებისა და მხარდაჭერის ვალდებულებას. ეს შეიძლება განხორციელდეს მკაფიო მითითებით კანონებსა და სხვა რეგულაციებში შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობასა და შერჩევაზე;

(f) ჩამოაყალიბონ შშმ პირებთან კომუნიკაციის პერმანენტული მექანიზმები, მრგვალი მაგიდების, მონაწილეობითი დიალოგების, საჯარო მოსმენების, გამოკითხვებისა და ონლაინ კონსულტაციების ჩათვლით, რომლებიც, მე-11, მე-12 და 50-ე პუნქტების შესაბამისად, პატივს სცემს მათ მრავალფეროვნებასა და

ავტონომიას. ეს შეიძლება განხორციელდეს მრჩეველთა ეროვნული საბჭოს ფორმით (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეროვნული საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც წარმოდგენილი არიან შშმ პირთა ორგანიზაციებიც);

(g) მხარი დაუჭირონ შშმ პირთა ორგანიზაციების მონაწილეობას, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა სტატუსს: დაბადება; ჯანმრთელობის მდგომარეობა; ასაკი; რასა; სქესი; ენობრივი, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება; მკვიდრი ან სოციალური წარმომავლობა; სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა; ინტერსექსი ვარიაცია; რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები; მიგრანტის სტატუსი; დარღვევის ჯგუფი და ა. შ.;

(h) ჩართონ შშმ ქალებისა და ბავშვების წარმომადგენელი ორგანიზაციებიც და უზრუნველყონ მათი პირდაპირი მონაწილეობა უსაფრთხო გარემოში მიმდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ქალების უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას, ან ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას, მათ შორის, სექსუალურ ძალადობასა და შევიწროებას;

(i) საჯარო გადაწყვეტილებების მიღების ყველა დონეზე დაგეგმვის, აღსრულების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში - განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მათზე ზეგავლენის მქონე საკითხებს, რისკის სიტუაციისა და ჰუმანიტარული კატასტროფის ჩათვლით - კონსულტაცია გაიარონ შშმ პირებთან, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებთან, აქტიურად ჩართონ ისინი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით და მისცენ გონივრული და რეალისტური დრო საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად, ასევე, სათანადო დაფინანსებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად;

(j) მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ შშმ პირთა ორგანიზაციებისა და გაერთიანებების, მათ შორის, შშმ პირთა მშობლებისა და ოჯახების ჯგუფების შექმნას, შესაძლებლობათა განვითარებას, დაფინანსებასა და ეფექტიან მონაწილეობას. ეს მოიცავს ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ (რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციის ჩათვლით) ან საერთაშორისო დონეზე პოლიტიკისა და პროგრამების შექმნას, შემუშავებას, რეფორმირებასა და განხორციელებას;

(k) მონაწილე სახელმწიფოებმა შეასრულონ 4(3) და 33(3) მუხლები და ხელი შეუწყონ შშმ პირთა ორგანიზაციების ლიდერობას ამ მონიტორინგში;

(l) შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობით, შეიმუშაონ და განახორციელონ აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები, ასევე, შესაბამისი სანქციები და საშუალებები, რომლებიც მიემართება 4(3) და 33(3) მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას სახელმწიფოთა მხრიდან;

(m) შშმ ადამიანებისათვის, მათ შორის, ინსტიტუციებსა ან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იზოლირებული და აუტიზმის მქონე პირებისთვის, უზრუნველყონ გონივრული მისადაგება; მათთვის ასევე მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის ობიექტი, მასალა, შეხვედრა, პროცედურა და ინფორმაცია, რომლებიც შეეხება საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესს, კონსულტაციასა და მონიტორინგს;

(n) შშმ პირებს გაუწიონ შეზღუდვისა და ასაკის შესაბამისი დახმარება საჯარო გადაწყვეტილების მიღების, კონსულტაციისა და მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობისათვის, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით. შეიმუშაონ სტრატეგიები, რომლებიც შშმ ბავშვებს ჩართავს კონვენციის იმპლემენტაციისთვის საჭირო კონსულტაციებში. ეს კონსულტაციები უნდა იყოს ინკლუზიური, ბავშვებზე მორგებული, გამჭვირვალე და მათი გამოხატვისა და აზრის თავისუფლების პატივისცემაზე ორიენტირებული;

-
- (o) კონსულტაციები და პროცედურები ჩაატარონ ღია და გამჭვირვალე ფორმითა და გასაგები ფორმატით, ისე, რომ მოიცავდეს შშმ პირთა ყველა ორგანიზაციას;
- (p) შშმ პირთა ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან (მაგ.: კერძო პირები და კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მონაწილე სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები) დაფინანსებისა და სხვა რესურსების მიღება და/ან მოძიება, საგადასახადო შეღავათებისა და ეროვნული ლატარეის ჩათვლით;
- (q) კონსულტაციის არსებული მექანიზმები სამართლის ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც კონკრეტულად შშმ პირთა საკითხებს არ მიემართება, ინკლუზიური გახადონ მათთვის, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით;
- (r) ისეთ პროცესებში, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტირება, მდგრადი განვითარების გეგმის ეროვნულ დონეზე განხორციელების მონიტორინგი, საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღება და სხვა წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, აქტიურად ჩართონ შშმ პირებიც და მჭიდრო კონსულტაცია გაიარონ მათთან წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით; მიიღონ განვითარების პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ დონეზე 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებასა და მონიტორინგში გაითვალისწინებს შშმ პირთა უფლებებსა და მოსაზრებებსაც;
- (s) უზრუნველყონ შშმ პირთა მონაწილეობა, წარმომადგენლობა და მარტივი წვდომა მთავრობის ყველა დონის საკონტაქტო უწყებასა და კოორდინაციის მექანიზმზე, ასევე, თანამშრომლობა და წარმომადგენლობა მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმებში/ფორმატებში;
- (t) მხარი დაუჭირონ რეგიონულ და გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებში ყველა შშმ პირის ჩართვას, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით;
- (u) შშმ პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციის მეშვეობით, განსაზღვრონ კარგი მონაწილეობის დამადასტურებელი ინდიკატორები, კონკრეტული დროის გრაფიკი და განხორციელებისა და მონიტორინგის პასუხისმგებლობები. ასეთი მონაწილეობა შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა საშუალებით (მაგ.: კანონების ცვლილების პროექტებთან დაკავშირებული მონაწილეობის მასშტაბის შემოწმება; ან ანგარიშის მომზადება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული მსგავსი ორგანიზაციების წარმომადგენელთა რაოდენობაზე).
-